№ 118. 5 ივნისი, ხუთშაბათი. 1866—1880 5 ივნისი, ხუთშაბათი. № 118.

**რედაქცია**

ერევნის მოედანზე, შუა-ბაზრის თავში მარცხნივ თ. ლუარსაბ [illegible] სახლში, № 2.

**ხელის-მოწერა**

მიიღება „დროების“ და „ივერიის“ რედაქციაში. გარეშე ხელისმომწერთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“ и „Иверія“

**„დროება“-„ივერიის“ ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., წვეულებრივის ასოებით სტრიქონზე ნახევარი კაპ. წვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია ფოშტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

## დროება

1 ივნისიდამ წლის დამლევამდინ ღირს ექვსი მანეთი

„დროება“ და „ივერია“ ერთად 1 ივნისიდამ წლის დამლევამდინ („ივერიის“ სამი წიგნი) ღირს ცხრა მან.

(ამ წლის „ივერიის“ პირველი წიგნი რედაქციაში აღარ არის).

რადგანაც სტამბაში წმ. მამა დავითის დღესასწაულის გამო არ მუშაობენ პარასკევს გაზეთი ვერ გამოვა.

## ტელეგრამმები

—

**პეტერბურღის ბირჟა, 3 ივნისს**

(„ჩრდილოეთ-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა — — | 93 | 12 |
| მეორესი — — — — — | 92 | 25 |
| მესამესი — — — — | 94 | „ |
| მეოთხესი — — — — | 93 | 25 |
| აღმოსავლეთის პირვ. — — | 91 | 25 |
| აღმოსავლეთის მეორე — | 91 | „ |
| აღმოსავლეთის მესამე — | 92 | „ |
| ოქრო, ½ იმპერიალი — — | 7 | 73 |

თფილისის საადგ.-მამ. ბანკის გირაოს ფურცელი — — „ — „

| შინაგანი 5% სესხის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის — — | 229 | „ |
| მეორე სესხის — — — | 222 | 10 |

1 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — — | 25—56 | პენსი |
| ჰამბურღი — — | 217—75 | ცენტი |
| პარიჟი — — — | 268—7 | სანტიმი |
| ვენა — — — | 124—25 | პფენიგი |
| კავკასიის კერასინი — — — | | |

## ხალხის გადასახლება ბათუმიდამ

ტფილისი, 4 ივნისს.

გაზაფხულდა და ხელ-ახლა მოგვდის წერილები და ცნობები, რომ ბათუმის მაზრიდამ ხალხი მიდისო. ჩვენს გაზეთში იყო ამ დღეებში დაბეჭდილი, რომ მაჭახელიდამ 200 მოსახლე გადასახლებულა; მიდიან აგრეთვე ქობულეთიდამ და ზემო-აჭარიდამაო (ქვემო-აჭარა ხომ შარშან დაცარიელდა თითქმის). ხალხი სტოვებს მამა-პაპეულ ადგილ-მამულს, სახლ-კარს, ყველაფერს, რაც გააჩნია, არ დასდევს იმას თუ რა მოელის შემდეგში, ებარგება და გადადის ჩვენს საზღვარზე.

რამდენჯერმე თქმულა ჩვენს გაზეთში—თუ რა ცუდი და მავნებელი გავლენა ექნება ამ ჩინებულ ქვეყნისათვის ხალხისაგან დაცარიელებას, რა მავნებელი გავლენა ექნება ბათუმის მაზრის გაუდაობნებას თვით ჩვენის სახელმწიფოსათვის, რამდენის ზარალის მოტანა შეუძლიან, თავის ქვეყნიდამ წასულს და ჩვენს სამზღვარზედ დასახლებულს მაჰმადიან ქართველებს და სხვ.

ეს უჩვენოთაც ყველასთვის ცხადი და ადვილად მისახვედრი უნდა ჰყოფილიყო. საუბედუროდ, როგორც ისმის, ახლანდელ ბათუმის მაზრის გამგეობაში არიან თურმე იმისთანა პირნი, რომელთაც ეს უბრალო ჭეშმარიტება ვერ გაუგიათ და გულ-დამშვიდებით ეუბნებიან თავის სამწყსო ხალხს:

— წადით, გადასახლდით! ჩვენთვის თქვენ კი არა ხართ საჭირო! თქვენს მაგიერად აქ ჩვენებურ ხალხს დავასახლებთ!..

ერთის მხრით ამისთანა ჩვენებური მქადაგებელი უდგია გვერდით ხალხს და მეორეს გვერდით სტამბოლიდამ მოსული მოლლები და საზოგადოთ ოსმალოს მქადაგებლები, რომელნიც ეუბნებიან:

— წავიდეთ ოსმალეთში! აქ თქვენ დასადგომი პირი არა გაქვთ. რუსის ხელში თქვენ ვერ გაძლებთ. გიაური მართლ-მსაჯულ მაჰმადიანს არასოდეს არ შეიწყნარებს. მაჰმადის ბრძანება არის, რომ ვინც გიაურის ქვეყანაში მოკვდება, ედემს ვერ ეღირსება, წაწყმედილია!

ორი ამისთანა ძალა მოჰქმედობს ფანატიკოსს-მაჰმადიანზე და რაღა თქმა უნდა, რომ ის აღერს თავს და უკან-მოუხედავად და წინ-დაუხედავათ მიდის.

კაცი არა ჰყავს, აუხსნას, რომ რუსის სამფლობელოში სხვა მაჰმადიანებიც ბევრი ცხოვრებენ, მაგრამ ძალდატანებით არავისთვის რჯული არ გამოუცვლევინებიათ; რომ მაჰმადის კანონი სრულიად არ უბრძანებს მართლ-მსაჯულს, იმის მეზობელი უეჭველად მაჰმადიანივე იყოს; რომ იქ, ოსმალეთში, იმათ შიმშილი, წყურვილი, სიტიტვლე და სიკვდილი მოელისთ; რომ შაჰ-შაჰს უიმათოთაც ბევრი თავის-სახეთქი საქმე აქვს, უიმათოთაც ხალხი შიმშილით ეხოცება და სხვ.; კაცი არა ჰყავსთ აუხსნას და გააგებინოს, რომ იმათი ბედის ჩვენ რუსის ქართველების ბედთან შეერთება ახლა და საბოლოვოთაც კარგი და სასარგებლო იქნება; რომ ჩვენ შეგვიძლიან ერთად, ძმურად ცხოვრება, რომ ერთმანეთის განშორება და დაკარგვა—ორივესთვის, ჩვენთვის და იმათთვისაც მავნებელია და სხვ.

პირ-იქით, თითქმის ყველა ამის წინაალმდეგს უქადაგებს; თითქმის ყველაფერი არწმუნებს, რომ იმათსა და ჩვენს შუა საერთო აღარა დარჩენილა-რა, რომ იმათთვის ათასჯერ უმჯობესია ამ ქვეყნიდამ გადასვლა, თავის თანა-მოძმეების მოშორება...

დიდმა მთავარმა კავკასიის მთავარ-მმართებელმა ბათუმისა და ყარსის მაზრაში მოგზაურობის დროს, არტაანში, უთხრა იქაურ ბეგებსა და საზოგადოთ ხალხს: ნუ გეშინიანთ, რუსის მთავრობა თქვენს რჯულს, თქვენს ოჯახს, თქვენს ადათს არ

## ფელეტონი

—

**სამეცნიერო საუბარი**

რამდენი ხანია, რაც ადამიანი გაჩნდა?— პორტუგალიის კონგრესი.— ტალის ქვის იარაღი.— პირველის ხალხის ცხოვრება.— დედა-მიწის ისტორია.— ოთხი ეპოქა.— მილიონს წელიწადზედ მეტი....

—

რამდენი ხანია, რაც ადამიანი სცხოვრობს დედა-მიწის ზურგზედ?

ეს კითხვა არამც თუ მეცნიერთათვის, თვით იმათთვისაც კი საინტერესოა, რომელთაც წერა-კითხვისა არა გაეგებათ-რა და ბევრი სრულიად უმეცარი, სიამოვნებით მოისმენს ყოველისფერს, რასაც კი ამ საგნის შესახებ სწავლულები გადასწყვეტენ.

სამის თვის შემდეგ პორტუგალიის დედა-ქალაქს ლისსაბონში მოხდება ხალხთა შორის არხეოლოგიური კონგრესი, რომელშიაც მრავალი ტალის ქვები ეწყობა გამოჩენილ მეცნიერთა წინ.

ამ ტალის ქვებმა ბევრი იმისთანა ამბები შეატყობინეს ადამიანს მისის ძველის წინა-პრის ცხოვრებისა, რომ პირველში შეიძლება კაცს დაუჯერებელი ეგონოს.

ტალის ქვებმა გაგვაგებინეს, რომ ადამიანი ასი, ორასი ათასის წლის წინა სცხოვრობდა და მასთან ერთათ სცხოვრობდენ იმისთანა უზარმაზარი ცხოველები, რომელთ წარმოდგენაც კი გაგვიძნელდება, ეხლანდელს პატარა ცხოველებს რომ ვუყურებთ.

როგორ შეუძლიანთ ქვებს ისტორია გვიამბონ, გადმოგვცენ,—ამის გაგება ძნელი არ არის.

გეოლოგებმა დაათვალიერეს ეს დედა-მიწის სიღრმიდამ ამოღებული ტალის ქვები და დარწმუნდნენ, რომ ესენი უნდა ადამიანის ხელით იყვნენ გათლილნი, შემუშავებულნი; ზოგი მათგანი განგებ არის გახვრეტილი, ეტყობა, ადამიანის ხელით.

როდესაც დედა-მიწაზედ პირველი ადამიანი გაჩნდა ის ეხლანდელს არა ჰგვანდა: სიტყვების გამოთქმას ძლივს ახერხებდა, საზრდოთა ხმარობდა ნადირის ხორცს და მოუხარშავს ბალახბულახს; სცხოვრებდა ან ცის ქვეშ ან გამოქვაბულში; რკინეულობის ხმარება არ იცოდა; მხოლოდ ქვებს ამტვრევდა, ერთმანეთზედ ხეხით სთლიდა და ამ გათლილ ქვებს ხმარობდა დანათაც, ხმლათაც; ეს უბრალოთ გაკორტნილი ქვები შეადგინდენ ამ შიშველ-ტიტველ კაცთა იარაღს.

ეგ ყველა კარგი, მაგრამ საიდან ვიცით რომ რამდენ ჯერმე ასი ათასი წელიწადი გასულა მას აქეთ, რაც ეს ქვები გაუთლიათ?

აი საიდან:

ამ ქვებს პოულობენ იმისთანა პირუტყვების ნაშთებთან, რომელნიც ეხლანდელებს სრულიად არა ჰგვანდნენ და მათს გადაგვარებას, მათს ესეთს სახის შეცვლას ძალიან დიდი ხანი დასჭირდებოდა; ეს ახალია, თუ იმას გავიხსენებთ, რომ ამ სამოთხს ათასს წელიწადს, მას აქეთ, რაც ჩვენმა წინა-პრებმა დაიწყეს წერა და გარდმოცემა ყოველივესი, რაც კი მათ დროს ხდებოდა პირუტყვების სახე თითქმის სრულებით არ შეცვლილა.

ამას გარდა ეს გაკორტნილი ქვები დედა-მიწის იმისთანა სიღრმიდგან ამოუღიათ, რომ მათზედა მოქცეული მიწა იმოდენა ხანს უნდა მოგროვილიყო, რაც ხანი ზემოთ არის აღნიშნული.

საიდან მოგროვდებოდა ეს მიწა, ამას ადვილათ გაიგებს ის, ვისაც კი ჩემს ფელეტონებისთვის თვალი უდევნებია. ეს ადგილები უწინ ზღვაში ყოფილან მოქცეულნი; მასში მდინარეებს ჩაუტანია ეს ქვები, მიუსილავს და რაც მეტი დრო გასულა, იმდენი უფრო მოუმატებია მათზედ დაწოლილი მიწა. შემდეგში ზღვის ფსკერი ზემოთ ამოწეულა და ეს ად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეეხებაო. იცხოვრეთ მშვიდობიანად, იმუშავეთ და თუ არაფერს დააშავებთ, დარწმუნებული იყავით, კაცი ხელს არ გახლებთ, და უკეთესს კეთილდღეობაში იქმნებით, ვინემ ოსმალოს დროს იყავითო.

ამ გვარივე ბრძნული და ხალხის დამამშვიდებელი სიტყვა წარმოსთქვა თ. სვიატოპოლკ-მირსკიმ შარშანწინ, როდესაც ის პირველად შევიდა რუსის ჯარით ბათუმში.

უმაღლესი რუსის მთავრობის აზრი, უეჭველია, ეს არის; უმაღლესს მთავრობას კარგათ ესმის, რომ სახელმწიფოსთვის მავნებელია ამ ქვეყნის დაცარიელება და ხალხის გადასვლა ოსმალეთში.

წვრიმალ მოხელეებს, ბათუმის მთავრობის ახლანდელ წარმომადგენლებს, საუბედუროთ, ეს არ ესმისთ, იქნება ესმისთ, მაგრამ სხვა რაიმე ანგარიშით, ისე ეპყრობიან ხალხს, თითქო რუსის მმართებლობას ჰსურდეს ამათი განდევნა და გარდასახლება.

სამწუხარო, დიდად სამწუხარო მოვლენაა ეს. მაგრამ ამაზე უფრო სამწუხარო კიდევ ის არის, რომ ჩვენთაგან, ქართველთაგან, არავინ ჩნდება, რომ ჩვენი უმაღლესის მთავრობის ნამდვილი განზრახვა და აზრი აცნობოს ბათუმის მაზრის ხალხს, ამ გვარად დაეხმაროს ამ მაღალ მთავრობას და, რითაც შეიძლება, ეცადოს წინდაუხედავად მიმავალის ხალხის შეჩერება...

ს. მ.

## ახალი ამბები

ამას წინათ **სოხუმში** კავკასიის სამეურნეო **საზოგადოებამ** გაგზავნა თ. ზ. ჯორჯაძე და ა. ელიოზიშვილი, შესატყობათ, არის თუ არა ფილოქსერა **სოხუმის** ვენახებში. ამათ გადმოუბრუნებიათ მრავალი საეჭვო ვაზი და ვერ უპოვნიათ ეს ვაზების მწერი.

შესანიშნავი და ღირსი მთავრობისა ის არის, რომ, თუმცა დიდი ხანია, რაც აკრძალეს ვაზების შემოტანა უცხო ქვეყნებიდგან, მაგრამ მაინც არ იშლიან და მოაქვთ.

ამ დღეებში იმავე ა. ელიოზიშვილმა ქიმიკოსმა **სტრუვემ** უნდა გაშინჯონ ვაზები თფილისის ნემეცების კოლონიაში. ამბობენ, ზოგიერთი ვაზი საეჭვო არისო. თუმცა ძნელათ დასაჯერებელია, რომ ფილოქსერა თფილისში გაჩენილიყოს, მაგრამ მაინც ღირსი იქნება მადლობისა **სამეურნეო საზოგადოება**, თუ მუდამ ასე ადევნა თვალი ყოველგვარს საეჭვო მოვლენას.

სიფრთხილეს თავი არა სტკივა!

* * *

ჩვენ გვაცნობებენ, რომ ზოგიერთალაგას თფილისის გუბერნიაში (სხვათა შორის გორის მაზრაში) კალიას ფრთა ესხმისო და ამ ერთ-ორ კვირაში ფრენასაც შეიძლებსო. მაშა-სადამე ხალხსა და ადმინისტრაცის ახლა მართებსთ რაც შეიძლება ენერგიულად წაიყვანონ მუშაობა კალიის დასახოცავად, თორემ რამდენიმე დღის შემდეგ, როცა ფრენას დაიწყებს, მერე ყოველი მუშაობა მუქთათ ჩაივლის.

* * *

კალიის თაობაზედვე გაზ. „კავკაზში" იწერებიან განჯის გუბერნიიდამ, რომ ჯევანშირის მაზრაში კალია სულ გაწყვეტესო; მაგრამ ნუხისა და არეშის მაზრებში კი ფრთა შეისხა და რადგან ფრინავ კალიის დახოცვა შეუძლებელია, ამისგამო მუშები დათხოვნილი არიანო. იმედი კი აქვთო, რომ ფთიანი კალია ახლა ბევრს ველარას დააკლებს ნამუშევარს, რადგან ქერი და პური უკვე მოსამკელი არის.

* * *

კახეთიდამ გვწერენ:

„**სეტყვის** ძლიერ გვეშინიან, რადგან ყანები მალე დასამკელი იქნება. პირველმა სეტყვამ რომ ჩვენი (ვაქრის მხრით) ვენახები მთლად იმსხვერპლა, —ეს თქვენც იცით. რა ვქნათ! ყანები მაინც არ დაგველუპოს ნეტავი! ზოგან ქერი კიდეც მოუმკიათ, გაულეწნიათ და გასაოცარ გამოსავალს ამბობენ. მხოლოთ უბედურება ეს არის, რომ ამ ხშირ წვიმებისაგან პურს ზოგან ფურცლები გუდა-ფშუტად ექცა.

* * *

ფოთიდამ გვწერენ, რო ამისთანა სიძვირე ყოველ გვარის ხორაგეულისა, როგორც ახლა არის აქ, არასოდეს, არც გავლილ ომიანობის დროს არ ყოფილაო. თევზი მაინც იაფი უნდა იყოს ჩვენს ქალაქშიო, მაგრამ ფუთი 8—9 მანეთზე ნაკლებ არ იყიდებაო.

* * *

რამდენიმე სამწიგნობრო ახალი ამბავი:

ამ მოკლე ხანში გამოვა „**თამარ მეფის ისტორია**" ბ. ბალაშვილისა. დასაწყისი ამ მონოგრაფიისა შარშანწინდელ „დროების" ნომერში იბეჭდებოდა. წიგნში იქნება თამარ მეფის სურათი.

ჩვენ შევიტყვეთ, რომ ამ ჟამად იბეჭდება მ. ს. ბეგიევის „**პოლემიკური საუბარი მღვდლისა ინგილოს ეფენდიასთან**," რომელშიაც სხვათა შორის მოყვანილია—თუ როგორ გაათათრეს ოსმალოებმა **საქართველოს** ზემო მხარე და აგრეთვე ნუხისაკენ ინგილოები.

ამ დღეებში დაიბეჭდა ბ. ნ. ბამრეკელოვის ისტორიული წიგნი „**ეგვიპტელების ყოფნა საქართველოში.**"

**შეცდომა.** გუშინდელის (117) ნომრის „ახალ ამბებში" მესამე გვერდზე პირველ სვეტზე, მე-18 სტრიქონიდამ დაწყებული 11 სტრიქონი შეცდომით იყო დამეჭდილი და ამ სტრიქონებში მოყვანილი ამბავი ოფიციალური ამბავი არ არის.

* * *

ჩვენ შევიტყვეთ, რომ მომავალ ოთხშაბათს, 11 ივნისს, დანიშნულია ჩვენის ტრუპპის სუფლიორის ბ. ყიფშიძის ბენეფისი, რომელზედაც წარმოადგენენ აკ. წერეთლის „კინტოს" და ერთს სურათს ბ. ა ცაგარელის ახალა კომედიიდამ „მათიკო." ამას გარდა იქნება აგრეთვე დივერტისმენტიც.

* * *

ქუთაისიდამ ერთი სარწმუნო პირისაგან ჩვენ მივიღეთ წერილი, რომლის სრულად მოყვანა სამწუხაროდ არ შეგვიძლია. მოგვყავს ერთი ალაგი:

„სახელს და გვარს ამ კაი-კაცისას არ ვახსენებ, რადგანაც „ზოგჯერ თქმა სჯობს უთქმელობას, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების," მაგრამ დაუსახელებლადაც ყველა მიხვდება მისს ვინაობას. საკმაოა მხოლოდ ვთქვა, რომ ეს ბატონი გახლავსთ ერთი აქაური სასწავლებლის უფროსი... ერთხელ ამ ვაჟ-ბატონმა ერთს კერძო სახლში სადაც მისი მოქვემდებარე 3 მასწავლებელნიც იყვნენ მიჰმართა მათ შემდეგ სიტყვებით: „გახსოვდეთ ბატონებო, რომ მე ძალიან მიყვარს **ორი ძმა დ**—ები, ვაი თქვენ ტყავს თუ ისინი ჩაგიჩეხიან და არ გადაგიყვანიათ შემდეგ კლასში..." როგორ მოგწონთ?...

მართლაც, ერთი ამ ძმათაგანი თუმც **ჩაიჭრა** (იმისთანა **ბრძანების** შემდეგ! ერთი სიტყვაც რომ მიეგო უთუოდ არ ჩაჭრიდნენ, მაგრამ ხესავით სიტყვა ვერ ამოუღია, რადგანც უფროსისაგან დაიმედებული **სულ არ** სწავლობდა) მაგრამ მაინც გადაიყვანეს.... რას იტყვით ამაზე..."

## „წერა - კითხვის საზოგადოების" წლიური საზოგადო კრება

1 ივნისს.

გუშინ-წინდელი საზოგადო კრება ჩვენის ქველ-მოქმედი საზოგადოებისა,

---

გილები ზღვის დონეზედ მაღლა მოქცეულან.

სწავლულებმა გამოიკვლიეს რამდენს ქვიშას აგროვებს ათას წელიწადში მდინარე ერთს რომელსამე ადგილას, გაზომეს ამ ქვიშის სისქე და სთქვეს, რაც უფრო მომეტებულია მიწის სისქე, მით უფრო მომეტებული ხანი გასულა, მის მოსაგროვებლათაო.

ზედმიწევნით გამოანგარიშება, რასაკვირველია შეუძლებელია, მაგრამ დაახლოვებით, მიხვედრით კი შეიძლება თითქმის შეუმცდარათა ვსთქვათ, რომ ადამიანის გაჩენის შემდეგ ასს, ორას ათასს წელიწადზე თუ არ მეტს ნაკლებს არ გაუვლია.

ერთი ჭკუაში მოსასვლელი აზრი შეიძლება წარმოსთქვან ამ საგანზედ; შეიძლება სთქვან, რომ სწორეთ მაგდენი ხანიც რომ იყოს გასული, რაც ეს ქვები დაუთლიათ, მაინც ეს იმის დამამტკიცებელი საბუთი არ არის, რომ ადიმიანის გაჩენა მაგდენი ხნის ამბავი იყოს. ვინ იცის, იქნება ეგ ქვები ან მაიმუნებმა დასთალეს, ან მაიმუნის მზგავსმა ცხოვლებმა, რომელთ კვალი ან აღარ დარჩენილა, ან ჯერ ვერ უპოვნიათ.

ეს აზრი საფუძვლიანსსა ჰგავს და უკანასკნელს დროს უფრო საფუძვლიანად მიემსგავსა, მეტადრე მას შემდეგ როცა გათლილი ქვები დედა-მიწის გულის კეცებში იპოვნეს, რომელთ შედგენა მილიონ წელიწადზედ წინ უნდა მომხდარიყო...

მთელის დედა-მიწის კეცები, რომელნიც კი წყლის ქვეშ არიან შედგენილნი და შემდეგ ზემოთ ამოწეულნი და რომელშიაც სხვა-სხვა ნაშთია უწინდელის ცხოველ-მცენარეობისა ოთხს ეპოქათ განიყოფებიან. უძველესს ჰქვიან პირველი ეპოქა და მას შემდეგ იმდენი წელიწადი გასულა, რომ მე და შენ, ჩემო მკითხველო, თვლაც კი გაგვიჭირდება; შემდეგ მისდევს მეორე, მესამე და ყველაზედ ახალი, რომელშიაც ჩვენა ვცხოვრობთ არის მეოთხე ეპოქა.

ყოველი ეპოქა განიყოფება აგრეთვე, რამდენსამე ფორმაციად, ფორმაცია კეცებად.

შესანიშნავი ეს არის, რომ ცხოველთ-მცენარეთ ნაშთი ძველს კეცებში უფრო დაბალი ცხოველებისა დაბალი მცენარეებისაა, მაგ. ლოკოკინებისა, კიბოებისა, ხავსისა და სხვ.

რაც კეცი უფრო ახალია, იმდენი უფრო მაღალს ცხოველებისა და მცენარეების ნაშთს შეხვდება კაცი.

უკანასკნელს დრომდე ადამიანის ძვლებს, მის ნამოქმედარს, ქვის იარაღს მხოლოდ მეოთხე ეპოქის ძველს კეცებში პოულობდნენ და მაშინ სწავლულები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ადამიანის გაჩენის ამბავი დედამიწაზედ ასს, ორას ათასს წელიწადს არ უნდა გადასცილდებოდესო.

მაგრამ ბოლოს დროს გათლილი ტალის ქვები მესამე ეპოქის შუათანა კეცებშიაც კი იპოვეს.

მესამე ეპოქის ძველს კეცებს ჰქვიან ეოცენის კეცები; შუათანებს—მიოცენისა და ახლებს პლიოცენისა.

პორტუგალელს გეოლოგს რიბეირის ტახოს მდინარის ახლო პლიოცენისა და მიოცენის კეცებში უპოვნია ზემოთხსენებული ტალის ქვების მზგავსი გათლილი ქვები.

საფრანგეთის გეოლოგს რამესს უპოვნია აგრეთვე გათლილი ტალის ქვები საფრანგეთში, მიოცენის ზემო კეცებში.

უეჭველია ლისსაბონის არხეოლოგიური კონგრესი ამ ქვებს გაშინჯავს და თუ კაცის ხელის ნამოქმედრათ იცნეს, მაშინ ამ კითხვაზედ:

რამდენი წელიწადია, რაც ადამიანი სცხოვრობს დედა-მიწაზედ?

უნდა მიუგოთ:

მილიონზედ მეტი...

მ.

მ[…]რთალია ვერ დაიკვეხებს მაზედ დ[…]წრებული წევრთა სიმრავლეს (სულ დ[…]წრო 37 წევრნი, გარეშე პირვ[…]ად 50-ზედ მეტი), მაგრამ ჩვენ თ[…]მამად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ეს ყრილობა გულ-დასმით და წინდ[…]ხედულად ეკიდებოდა თავის საქმ[…].

პირველად საზოგადოებამ მიიღო ერთხმად 32 ახალი ნამდვილი წევრი. შემდეგ საზოგადოებას სეკრეტარმა ა[…]ობა რომ დამფუძნებელ წევრთა რიცხვს მოაკლდა ოთხი წევრი: გარდაცვალნენ: კნ. სოფიო სვიატოპოლკ-მირსკისა, კნ. მიხეილ წერეთელი, კნ. ისაკ შიოს ძე თუმანიშვილი და თავის ნებით გამოვიდა თ. დავით გიორგის ძე ერისთავი. ამ ოთხი ვაკანსიის შევსების მსურველნი იყვნენ ექ[…]ი პირი. იმათგან საზოგადო კრებამ აირჩია (7 § ძალით) თ. ა. მ. წერეთელი, და თ. სამსონ დ. ერისთავი, თ. ე. ს. ჩიქოვანი და კნ. ადელაიდა ს. აბაშიძისა—ბორლენკო. ორი დანარჩენი კანდიდატებად დარჩნენ.

მერე საზოგადოებამ მოისმინა თავმჯდომარის (თ. ილია ჭავჭავაძის) კითხვა: „როგორ ინებებს ყრილობა: ისე დაამტკიცებს წასრულ წლის ანგარიშს, თუ საჭიროდ სთვლის რომ წაკითხულ იქმნას? ზოგი წევრთაგანი ამბობს, რა საჭიროა ახლა წაკითხვა ყველას წაკითხული გვაქვსო ისე განვსაჯოთო; ზოგი საჭიროდ ჰრაცხს მისს წაკითხვას, ყოველგან ასეა მიღებულიო, ერთად რომ მოვისმენთ ანგარიშს სჯობიაო. უმრავლესობა უკანასკნელ აზრის იყო, რის გამოც სეკრეტარმა მეუნარგიამ წაიკითხა ანგარიში, რომლის გათავების შემდეგ თავმჯდომარემ იკითხა თუ ვის ჰსურს ანგარიშის შესახებ თავისი აზრის წარმოთქმა.

პ. უმიკაშვილი. საზოგადოების წლის ანგარიშზე და საქმის წარმოებაზე ჩემის აზრით მმართველობას ვერაფერს უსაყვედურებს ჩვენი საზოგადოების დღევანდელი კრება. მმართველობა და საზოგადოება ერთი წელიწადია მოქმედებს. არც დიდი ღონისძიება აქვს, არც გამოცდილება. ამისათვის რაც გაუკეთებია მმართველობას, მისთვისაც მადლობა და თანაგრძნობა უნდა განუცხადოთ; მხოლოდ რამდენისამე შენიშვნის მოხსენება მსურს:

ვწუხვართ, რომ ქუთაისის თავად-აზნაურთა ბანკის კრებას გადაუწყვეტია თავის შკოლის ჩამორთმევა ჩვენის საზოგადოებისაგან.

თავმჯდომარე. მაგ საგანზე ჯერ მმართველობას ცნობა არა აქვს. ხმა მოვიდა და მარტო ხმაზედ ვერ დავემყარებით.

ს. მესხი. გარდა ამისა, არ ვიცით რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდა ქუთაისის აზნაურობა და ისე როგორ გვეოქმის მწუხარება.

უმიკაშვილი. მე ნამდვილად შევიტყე ქუთაისის ბანკის ზედამხედველის კომიტეტისა ერთის წევრისაგან, რომ ეს საქმე გადაწყვეტილია. ამბობენ მმართველობის სიშორე აბრკოლებდეს ვითომც და ეს იყოს მიზეზი ჩამორთმევისა, საკვირველია, წელს თებერვალში გაიხსნა შკოლა, ასე ცოტას ხანს რა ცუდი ცვლილება დაეტყო შკოლას, რომ საზოგადოებას გამოსწირეს? ვიმეორებ სამწუხაროა ეს ამბავი.

მმართველობას ბევრი დრო მოსდომებია შკოლებზედ ცნობების შესაკრეფად, მიწერ-მოწერა ბევრი გაუმართავს; ჩემის აზრით ცნობის შეკრებისათვის საზოგადოებას ეჭირება ადგილობრივი კორრესპონდენტები, რომელთაგან შეუძლია იქონიოს ცნობა. ეს კორრესპონდენტები დაგვეხმარებიან და სარგებლობას მეტს მოგვიტანებენ ვიდრე გაგზავნილი აგენტები. იმისთანა კაცები უნდა ამოვირჩიოთ კორრესპონდენტებათ, რომელთაც ხალხიც იცნობდეს და ადმინისტრაციაც.

„შკოლების შესაწევარის შესახებ მოხსენებულია, რომ ძავთისხევისას 200 მან. და რუისისას 194 მან. მიეცაო. ამ სოფლებს საკმაოთ მოსახლენი ჰყვანან, მაშასადამე მდიდარი შკოლები უნდა ჰქონდეს. რა მიზეზია, რომ ამათ მიეცათ უპირატესობა, ეს საჭიროა ვიცოდეთ.—ბათუმის შკოლის გამართვაზე უნდა მოგახსენო რომ საჭიროა ვრცელი ცნობები შევკრიბოთ, რამდენი მოსახლეა ბათუმში და შკოლაც ისეთი გავმართოთ. ჩემის აზრით, სჯობს ერთს წელს კიდევ მოვუცადოთ შკოლის გამართვას.

ს. მესხი. მარტო ქალაქ ბათუმზე არ არის ლაპარაკი, მთელ მაზრაზეა.

თავმჯდომარე. მთელი მაზრა გვაქვს მხედველობაში.

უმიკაშვილი. თუნდა მთელი მაზრა ავიღოთ. თუ შეიძლება შკოლის გახსნა უფრო ბურიის ძველ სამზღვრების ახლოს მოვახერხოთ მაგალითად ქობულეთში, ჩურუქ-სუში. მაგრამ საზოგადოთ, რადგანაც ხალხი გადასვლის ჭორებშია და მითქმა-მოთქმაში, არ დაწყნარებულა, დავაცადოთ სანამ მერმის გათავდებოდეს ბოლონდელი ვადა გადასვლისა. რაც შეეხება აწყვერის შკოლის შემწეობას, უეჭველად უნდა აღმოუჩინოს საზოგადოებამ, რადგანაც ეს ერთი შესანიშნავი დიდი სოფელია ახალციხის მაზრაში და დიდი ნაწილი აქ ქართველია. საზოგადოებამ იმდენი უნდა მისცეს, რომ მასწავლებელის გარდა მღვდელსაც დაუჭიროს სარწმუნოების სწავლისათვის. საზოგადოდ ბათუმისა და აწყვერის შკოლებისათვის ძალიან კარგად მომზადებული, კარგის ღირსების და ცოდნის მქონე და დამჯდარი ხასიათის ოსტატი იქნება საჭირო.—სასწავლო წიგნთა პრემიების გამოცხადების შესახებ მოვიხსენებ, რომ პროგრამმის ჩვენება საჭირო არის.

თავმჯდომარე. რადგანაც პირველდაწყებითის სახელმძღვანელოებზეა პრემიების დანიშვნა, დაწვრილებითი პროგრამმის ჩვენება შევიწროებათ გვეგონა. საზოგადოდ პროგრამმა ხომ ცხადია.

პ. უმიკაშვილი. დეპოს გახსნის დროს სიმტკიცისათვის საქმისა საჭირო იქნება, რომ ვისაც დეპო ჩაბარდეს, იმას სანდო თავდები ან გირავო მოეთხოვოს. საზოგადოთ ამ შემთხვევაში სიფრთხილე დასჭირდება მმართველობასა, რომ იმ ანდაზსავე არ გამოვიდეს, „ქართველი დუქანზე არ ვარგაო.“

შკოლების გახსნის დრო, ქუთაისისა შუა ზამთარში მოხდა. სასურველია რომ ერთხელ და სამუდამოთ წესად დაწესდეს შკოლების გახსნა საზოგადოთ მიღებულ დროს, ენკენის თვეში. ძველებურათ რომ დიდ-მარხვის დაწყებისთანავე შკოლებში სწავლა იწყებოდა, ეს არ გამოგვადგება.

— შემოსავალი წრეულს ნაკლები შემოვიდა იმაზედ, რაც შარშან გვეგულებოდა. ნამდვილ-წევრებს 600 მ. უდნა შემოეტანათ და ახლა კი ნახევარსა ვხედავთ, დამფუძნებელთაგანაც აგრეთვე ნაკლებ. ყოველი წევრის თანაგრძნობა ჯერ პირველათ ამაში უნდა გამოჩნდეს, მივსცეთ მმართველობას შესატანი, მივცეთ ღონისძიება, რომ საქმის გაკეთება შეიძლოს. მმართველობამაც უნდა ღონის-ძიება იხმაროს შემოსატანის ფულის დროზე მოგროვებისათვის, მოაგონოს წერილებით. შემოსავლის გადიდებიდებისათვის საჭიროა მმართველობამ გამჭრიახობა იხმაროს, გამართოს ან სალიტერატურო საღამო, ან ისე საღამო, ანუ სხვა რამ.

თავმჯდომარე. აქ ერთი წინადადებაა საწევრო ფულის შემოტანაზე. დავდვათ ვადა, რომლის გასვლის შემდეგ ფულის შემოუტანებლობისათვის წევრი გამორიცხულ იქმნას საზოგადოებისაგან,

ხმები. ორი წელიწადი! ერთი წელიწადი!

თავმჯდომარე. ყველა საზოგადოებაში დადებულია სამი წელიწადი, როგორ ინებებთ?

ხმები. ერთი წელიწადი! ორი წელიწადი!

აკაკი. იქნება ორი წელიწადი კაცი სამზღვარ გარეთ იყოს ან სხვა რამ გარემოება უშლიდეს, რათ გამოირიცხოს.

ჭყონია. ეგ ვერაფერი საბუთია: განა ფოშტით ვერგამოგზავნის!

უმიკაშვილი. გადავსდვათ მემრისათვის ეს კითხვა.

თავმჯდომარე. ეხლა გადავწყვიტოთ, თუ ერთის წლის შემდეგ.

ხმები. მემრის! მემრის. (უმეტესობამ მემრისთვის გადასდვა).

(გაგრძელება)

## „დროების“ კორრესპონდენცია

—

ქუთაისი, 2 ივნისს. ამ წინადღეებში მოვიდა აქ ბძანება, რომ ქუთაისის გუბერნიის თითო მაზრიდამ ათას-ათასი მუშა-კაცი გამოეწვიათ და გაეგზავნათ ქართლისაკენ კალიის სახოცავათ. აქაურმა ადმინისტრაციამ მოახდინა განკარგულება და ორს დღეში გამოიყვანეს 3,000 კაცი ორი დღის საგზლით, ნიჩბებით და თოხებით. ხალხი გასაკვირველად სიხარულით გამოვიდა, მიატოვეს თავისი უმუშავებელი ყანები და გამოემგზავრენ. მაგრამ ხალხის შრომა როდის მოუხმარიათ კეთილად და კარგად, რომ ეხლა მოეხმარათ?!.. ვაგონები ვერ უშოვეს დროზედ და საგზალი თითქმის მისვლამდისინ გამოელიათ. მიიყვანეს და გაუშვეს მინდვრებში. ხალხმა დაიწყო მუშაობა. . . . . . . . . . . :

. . . . . . . .

ამისთანა უბედურობის დროს იმერეთის ხალხი ქართლს ეშველება და ქართლში მცხოვრები თფილისის მოქალაქე სომხები კი არხეინათ დაბძანდებიან, სეირს უყურებენ....

იმერელი


## თფილისის საადგილ-მამულო

# ბანქისაგან

**თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა**

ამით აცხადებს, რომ მეათე (X) ტირაჟში, რომელიც ამა 1880 წლის 21 მაისს მოხდა, გამოვიდა შემდეგი. გირაოს ფურცლები ამ ბანკისა:

I სერიისა
17 წლისა და 7 თვის
ასი (100) მანეთიანი ღირსებისა
№ № 15, 38, 58, 83, 94 და 105.

II სერიისა
27 წლისა და 6 თვის
ათას (1000) მანეთიანი № 120
ხუთას (500) მან. № 37
ას (100 მან. № 99.
54 წლისა და 6 თვის
ას (100) მანეთიანი № № 3 და 60.

III სერიისა
27 წლისა და 6 თვის
ათას (1000) მანეთიანი № 95
ხუთას (500) მან. № 101
ას (100) მან. № 45, 101 და 145.

IV სერიისა
27 წლისა და 6 თვის
ხუთას (500) მანეთიანი № 8
ას (100) მან. № 11.
54 წლისა და 6 თვის
ას (100) მან. № 18.

V სერიისა
27 წლისა და 6 თვის
ხუთას (500) მან. № 17
54 წლისა და 6 თვის
ას (100) მან. № № 93, 109 და 180.

VI სერიისა
43 წლისა და 6 თვის
ას (100) მან. № 51
27 წლისა და 6 თვის
ხუთას (500) მან. № 3.

VII სერიისა
43 წლისა და 6 თვის
ას (100) მან. № 400

VIII სერიისა
27 წლისა და 6 თვის
ხუთას (500) მან. № 6
43 წლისა და 6 თვის
ას (100) მან. № № 5, 66, 71 და 260.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IX სერიისა
27 წლისა და 6 თვის
ას (100) მან. №№ 33, 46, 49 და 53.
43 წლისა და 6 თვის
ხუთას (500) მან. № 51
ას (100) მან. № 175.

X სერიისა
27 წლისა და 6 თვის
ათას (1000) მან. № 36
43 წლისა და 6 თვის
ას (100) მან. №№ 3 და 11.

ნომრები გირაოს ფურცლებისა, რომლებიც წინანდელ ცხრა ტირაჟში გამოვიდნენ, მაგრამ რომელთ პატრონები არ გამოცხადებულან ფულების მისაღებად:

პირველის ტირაჟიდამ (1 ნოემბერს 1875 წლის)

I სერიისა
54 წლისა
ას (100) მანეთიან ღირსებისა № 4.

მეორე ტირაჟის (1 მაისის 1876 წ.)

I სერიისა
18 წლისა და 7 თვის
ას (100) მან. № 100

მესამე ტირაჟის (1 ნოემბრის 1876 წ.)

I სერიისა
18 წლისა და 7 თვის
ას (100) მან. ღირ. №№ 109 და 111

მეხუთე ტირაჟის (7 ნოემბ. 1877 წ.)

I სერიისა
18 წლისა და 7 თვის
ას (100) მან. ღირ. №№ 1, 48 და 60.

V სერიისა
27 წლისა და 6 თვის
ას (100) მან. ღირ. №№ 23 და 36.

მეექვსე ტირაჟისა (11 მაისი 1878 წ.)

III სერიისა
27 წლისა და 6 თვის
ას (100) მან. ღირსებისა № 82.

V სერიისა
54 წლისა და 6 თვის
ას (100) მან. ღირ. №№ 44 და 166.

VI სერიისა
27 წლისა და 6 თვის
ხუთას (500) მან. ღირსებისა № 18.

მეშვიდე ტირაჟისა (ნოემბერი 1878 წ.)

I სერიისა
ას (100) მან. №№ 2, 34, 42, 57 და 117

II სერიისა
54 წლის და 6 თვისა
ას (100) მან. ღირსებისა № 48
27 წლის და 6 თვის
ას (100) მან. ღირსებისა № 35.

III სერიისა
54 წლის და 6 თვის
ას (100) მანეთიან ღირსებისა № 99
27 წლის და 6 თვის
ხუთას (500) მან. ღირსებისა № 52.

V სერიისა
54 წლის და 6 თვის
ას (100) მან. ღირსებისა № 22
27 წლის და 6 თვის
ას (100) მან. ღირსებისა № 9

VI სერიისა
43 წლის და 6 თვის
ას (100) მან. ღირსებისა № 35

VII სერიისა
27 წლის და 6 თვის
ას (100) მან. ღირსებისა № 68

VIII სერიისა
43 წლის და 6 თვის
ას (100) მან. ღირსებისა № 50

მერვე ტირაჟისა (16 მაისი 1879 წ.)

I სერიისა
34 წლისა და 6 თვის
ას (100) მან. ღირსებისა № 3.
18 წლისა და 7 თვის
ას (100) მან. ღირსებისა № 108.

II სერიისა
54 წლისა და 6 თვის
ას (100) მან. ღირსებისა № 65.

III სერიისა
54 წლისა და 6 თვის
ას (100) მან. ღირსებისა № 95.
27 წლისა და 6 თვის
ას (100) მან. ღირსებისა № 23
ხუთას (500) მან. ღირსებისა № 17.

IV სერიისა
27 წლისა და 7 თვის
ხუთას (500) მან. ღირსებისა № 20.

V სერიისა
54 წლისა და 6 თვის
ას (100) მან. ღირსებისა № 188.

VI სერიისა
54 წლისა და 6 თვის
ას (100) მან. ღირსებისა № 1
43 წლის და 6 თვის
ას (100) მან. ღირსებისა № 32

VIII სერიისა
43 წლის და 6 თვის
ას (100) მ. ღირ. №№ 115 და 296
27 წლის და 6 თვის
ას (100) მან. ღირსებისა № 116
ხუთას (500) მან. ღერსებისა № 10

მეცხრე ტირაჟისა (9 ნოემ. 1878 წ.)

I სერიისა
18 წლის და 7 თვის
ას (100) მან. ღირს №№ 35 და 113

II სერიისა
27 წლის და 6 თვის
ხუთას (500) მ. ღ. №№ 39, 43 და 47
ას (100) მ. ღირ. №№ 132 და 133

III სერიისა
27 წლის და 6 თვის
ას (100) მ. ღირ. № 114

IV სერიისა
27 წლის და 6 თვის
ხუთას (500) მან. ღირ. № 58

V სერიისა
54 წლის და 6 თვის
ას (100) მან. ღირ. №№ 24 და 119
27 წლისა და 6 თვის
ხუთას (500) მან. ღირსებისა № 11.

VI სერიისა
43 წლისა და 6 თვის
ას (100) მან. ღირსებისა № 11.
27 წლისა და 6 თვის
ხუთას (500) მან. ღირსებისა № 11
ას (100) მან. ღირსებისა № 16.

VIII სერიისა
43 წლისა და 6 თვის
ას (100) მან. ღირ. №№ 306 და 317
27 წლისა და 6 თვის
ას (100) მან. ღირსებისა № 98

IX სერიისა
43 წლისა და 6 თვის
ას (100) მან. ღირ. №№ 142 და 183.

---

# განცხადებანი


მაქვს პატივი ვაცნობო პატივცემულ საზოგადოებას, რომ **ნოქალაქევის სამკურნალო წყლები** უწყებული თვისის მკურნალეობითა აღწერილობისა-მებრ დოკტორის პლეშკოვსკისა და სხვა ცნობაებით, რომელიც იმყოფება ქუთაისის გუბერნიაში სენაკის მაზრაში სოფელს ნოქალაქევს, 18 ვერსტზედ დაბა ახალ-სენაკიდამ (სტანცია რკინის გზისა) უკანასკნელის 20 წლის განმავალობაში იყო მივარდნილი, უპატრონოთ მიტოვებული, ახლა კი ეს წყლები ჩემს განკარგულებაში არის საიჯარადროდ და კიდევაც მოყვანილია მადნის წყალი სრულს წესიერებაშიდ. ეს სამკურნალო წყალი სხვა წყლებთაგან განყოფილია და აყვანილია მილის საშვალობით 10 არშინზედ და გაშენებულია აუზები (ვანნები).

მსურველთ შეუძლიანთ ისარგებლონ აღნიშნულის წყლებით ფრიად ზომიერის ფასით და მრთელის ჰაერით, რომლითაც გამოჩენილია ნოქალაქევი.

მეორე გილდის ვაჭარი
ივანე ლაზარის ძე გვიშიანი.

(შ.) (12—7)

---

# კანტორა

ოდესსის ვაჭრის

# გრ. ზალინოვისა

(ადრესი: ოდესსა, ალექსანდროვის პროსპექტი, ფიშერის სახლი)

ჴვიდულობს და ჴყიდის, კომმისიით, ყოველ გვარ საქონელს.

აგენტურა სხვა-და-სხვა საქონლის გასასაღებელად.

წარმომადგენელია რუსის და საზღვარ გარეთის ფაბრიკებისა, ქარხნებისა და სავაჭრო სახლებისა.

აქვე ნარდათ ჴყიდის და ჴყიდულობს, გრეთვე კამისიის ფქვილს, საწვრიმალო და კოლონიალურ საქონელს.

(30—10)

---

კვირაცხოვლისა და შემდეგის კვირის განმავალობაში

# ინგლისის მაღაზიაში

20% უფრო იაფად

გაისყიდება სხვა-და-სხვა ინგლისის საქონელი.

(10—8)

---

დაიბეჭდა და ისყიდება VI ტომი

„ცნობათა კრებისა კავკაზიაზედ“

გამოცემა კავკასიის სტატისტიკოს კომიტეტისა.

ამ წიგნის შინაარსია:

„თბილისის ერთ-დღიური აღწერა 25 მარტს 1876 წ.“

სულ არის 570 გვერდი *in* 4, 19-ს დამატებით, სახელდობრ:

1) 15 ლიტოგრაფიული დახაზული ტაბლიცები.

2) 2 პლანი თბილისისა შარდენისა 1671 წ.) და ტურნეფორისა (1701 წ.)

3) კოპიო თბილისის პლანისა შედგენილი მეფის ძის ვახუშტისაგან.

4) ეხლანდელის თბილისის პლანი.

ეს წიგნი ისყიდება შემდეგ წიგნების მაღაზიაში: ბერენშტამთან, კავკაზიის წიგნის სავაჭროში, ცენტრალურს წიგნის სავაჭროში. ფასი 4 მანეთი. ვისაც დაბარება სურს ფოჩტით, ხუთი გირვანქის გაგზავნის ფასი გამოგზავნოს.

(4—3)

---

# კოჯორში

**გასაქირავებელია** ორი აგარაკი (დაჩა) 5 ოთახიანი სამზარეულოთი და ყოველ-გვარ მოწყობილებით, და ორი ოთახი სამზარეულოთი, საყდრის პირ-და-პირ, წყაროთი.

აქვე ჰქირავდება **სამი დუქანი**.

**ფასი** იკითხეთ ბოლდანოვის სარდაფში, გალავინის პროსპექტზე, შიოევის სახლში.

(3—2)

---

**იაგორ კასუმოვის** და კამპ. კანტორაში ისყიდება დაბეჭდილი კონტრაქტები (პირობა) სახლის, დუქნების, მაღაზიების, ცარიელ ადგილების და სხ. ქირაობაზედ.

თითო ამ გვარი კანტრაქტის ფურცელი ღირს **შაურად**.

(10—6)

---

ახლანდელ დიდს

# გამოფენის

დროს,

ოლეოგრაფიული სურათები იყიდება 20% დაკლებით, მაგ-ინტოშები (მოსახურავები) 6 მანეთიდამ 20-მდე; შჩოთქები მოსაფხეკებითურთ თითო 75 კ.; შეკვეთილია შეფფილდში განსაკუთრებით ინგლისურ მაღაზიისთვის საუკეთესო სამართებლები, რწყვილი ბუდეებით ღირს 4 მან.; შეფფილდის დანები ჩანგლებიანათ დუჟინი 2 მ. 75 კაპეიკიდამ 20-მანეთამდე. ჩაინიკები ბრიტანიის მეტალისაგან 30 კაპეიკიდამ 3 მანეთამდე; ციტრატ-მაგნეზია, ოსმალოს შარბათი და სამწყურალო კვერების ბანქა 70 კ.; საუკეთესო პორტ-ვეინი და ხერესი 1 მ. 40 კ. ბოთლი, და შამპანიის ღვინო ბოთლი 3 მან. და სხვ. **ინგლისურს მაღაზიაში**.

(40—18)


Дозволено цензурою. Тифлисъ 4 Іюня 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი